„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * აპრილი. 2024 * (2)95

2024 წელი – ახალი პერსპექტივები

გასული 2023 საანგარიშო წელი ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ წარმატებით დაასრულა. ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით მუნიციპალიტეტში არაერთი სოციალური, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, ადგილობრივი თვითმმართველობის თითოეული აქტივობა მიმართული იყო მოსახლეობის საჭიროებაზე, წარჩინებული სტუდენტების, წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების ნახალისებაზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ 2024 წელს დაგეგმა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, ნაწილი პროექტებისა დაწყებულია და ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს:

მუნიციპალიტეტის მერია მიმართავს ყველა ძალისხმევას, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს, თუ რას აკეთებს იგი, რა პროექტები იგეგმება და ხორციელდება მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად მერია პერიოდულად აწყობს შეხვედრებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე პირადად, აქტიურად არის ჩართული თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პროცესში – „ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ხალხია. გადაწყვეტილების მიღების დროს სწორედ მოსახლეობის აზრია უმნიშვნელოვანესი. მერიის თითოეული ნაბიჯი შესაბამისობაშია მოსახლეობის ინტერესებთან. ასპინძის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2024“-ის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა, რამაც თვალნათლივ დაგვანახა ის სამომავლო გზა, რომლის განხორციელება ასპინძას კიდევ უფრო დაამშვენებს და დიდ წარმატებებს მოუტანს. აღნიშნულმა შეხვედრებმა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი მოიცვა. კრებებზე მოსახლეობის მიერ წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს ეყარა კენჭი.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მოსახლეობას საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტოს თუ რა ინსფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოიყენებს მათი სოფლისა თუ დასახლებული პუნქტისათვის გამოყოფილ თანხას.

პროგრამის ძირითადი პრიორიტეტებია – გარე განათების, შიდა გზების, სასმელი და სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, სკვერების, სპორტული და საბავშვო გასართობი მოედნების, საყრდენი კედლების, მგზავრთა მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა.

შერჩეული პრიორიტეტები დასამტკიცებლად საკრებულოს წარედგინა და უახლოეს მომავალში განხორციელდება შერჩეული ინფრასტუქტურული პროექტები.

2024 წელს დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება:

დაბა ასპინძის ჩიხების რეაბილიტაცია დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს. მთლინად სახელშეკრულებო (II-ეტაპი) ღირებულება შეადგენს 463

000 ლარს, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“ აწარმობეს. პროექტის ფარგლებში ეწყობა ა/ბეტონის საფარი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა. პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორაში შიდა გზის რეაბილიტაცია გრძელდება.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხიდის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“ და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 983 000 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტბეტონის საფარი, გზის საყრდენი კედელი, სამი მილ-ხიდი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა.

დაბა ასპინძაში სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სანაპიროს ქუჩაზე დეკორატიული ღობეების მოწყობა, ტროტუარების, გარე განათებისა და გარკვეულ მონაკვეთზე საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.

სამუშაოები რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „არალი" აწარმოებს.

სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

დაბა ასპინძაში დაიგეგმა მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელუც ითვალისწინებს: კარებების შეცვლას, კედლების მოპირკეთებას, დაიგება ლამინირებული პარკეტი, ჭერზე – თაბაშირ-მუყაო, დარბაზში ამსტრონგის ჭერი, განახლდება კიბეები და პანდუსი. მთლიანად გამოიცვლება ელექტრო სისტემა. შეიღობება და ეზოში დაიგება ფილები. სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 192 222 ლარს.

დაბა ასპინძაში გაგრძელდება საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები. ამ ეტაპზე პროექტით დაგეგმილი სამუშაოების ნაწილი დასრულებულია.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“ და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 239 678 ლარს შეადგენს.

გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის ინტერესი და განხორციელდება აგარის მონასტერში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“ აწარმოებს. პროექტით დაგეგმილია: სიგრძე 700 მეტრის სიგანე 4-4.5 მ. ა/ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 523 574 ლარს.

გაგრძელდება სოფელ დამალაში შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაცია სამუშაოები, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ბესტ ტრანსი“ შეასრულებს. პროექტით დაგეგმილია სიგრძით 932 მეტრისა და სიგანით 4-4.5 მ. ა/ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომლის სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 490 927 ლარს.

ასევე გაგრძელდება სოფელ ოთის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 382 000 ლარს, სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“ ასრულებს. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ასფალტბეტონის გზისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტი გარდამავლია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

სოფელ ხიზაბავრის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, წლეულს ევროპული სტანდარტების დონეზე განხორციელდება სასოფლო კლუბის სრული რეაბილიტაცია. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალმე“, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 272 655 ლარს. კერძოდ, დაგეგმილია შენობის სრული რეაბილიტაცია; სახურავის, ფასადის, იტაკის, ინტერიერის და სკამების მოწყობა.

სოფელ საროში რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკვერს, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნოკია“ შეასრულებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 183 333 ლარს. პროექტით დაგეგმილია მისი გამწვანება, მოეწყობა საფეხმავლო ბილიკები, დეკორატიული ღობე, მაგიდა-სკამები, ურნები ლამპიონები და მოსაცდელი.

გათვალისწინებულია ასპინძა-ჭობარეთის გზის 1,5 კილომეტრზე არსებული მილ-ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ – მოეწყობა არსებული მილის დემონტაჟი და შეიცვლება ახალი მილ-ხიდით (4x2მ); მილ-ხიდის სრული რკინა/ბეტონის სამუშაოების სიგრძე 15x6 მ, ორივე მხარეს 30 მ. ლითონის მოაჯირის მოწყობა და ტრასის აღდგენა და დამაგრება – 40 მ. არნიშნულ სამუშაოებს შეასრულებს „შპს კავკასი,“ რომლის სახელშეკრულებო ღირებულება განსაზღვრულია 169 000 ლარით.

ასპინძის წყარო

დავით გაჩეჩილაძე

ასპინძის კლდეზე მე დამიხვდა პატარა წყარო,
ვით სიყვარული უწმინდესი და უანგარო,
მან შორიდანვე იდუმალ ხმით ჩაიჩუხჩუხა.

ჰოი ასპინძავ, დიდებულო ჩვენო ასპინძავ!
თითქოს ნიავმაც აქ წარსული გამოაღვიძა
და წყლის ჩუხჩუხი შემომესმა ხმლის ჩახიჩუხად.

და ველს გავყურებ მე ბუნდოვან დასასრულამდი,
კვლავ წარმომიდგა იმ დიადი ბრძოლის სურათი...
დახეთ სიმუხთლეს ჟამისას და კაცთა სიავეს:

ზურნის ჭიჭყინით, მტკვარზე ხიდის აზანზარებით,
შავწვერიანი, მხრებგაშლილი კოხტა ბელადი
ცხენს ძლივს აჩერებს, წინ გზებია სანავარდონი.

მაგრამ უეცრად ჩაბნელებულ მთების კალთებთან
ლაშქრულ სიმღერით აღმობრწყინდა ჯარი ქართველთა,
ველზე მოგელავს თეთრი ცხენით კახთა ბატონი.

და, ჰა, გაისმა ხმა წინწილის და ბუკ-ბობღანის,
სადღაც მინდორში რქებახრილი ხარი მობღავის,
ცისცერ ბურუსში ვარსკვლავები თრთოლვით ჰქრებიან.

ადგა რიჟრაჟი ოქროსფერი ამომტვერებით,
ბრწინავს ასპინძა ლეკურებით და სატევრებით,
რა უთვალავი ვერცხლოვანი ნაპერწკლებია...

ან რა უეცრად მთლად დადუმდა წყარო ნათელი,
მძიმედ დაჭრილი ფორთხვით მოდის ვინმე ქართველი,
თეთრი ჩანჩქერი დაბარბაცდა დაჭრილის თვალში...

წყალი დალია, სხვას ქვეყნისგან არაფერს ითხოვს,
ბნელდება ირგვლივ და მაღლიდან დასტირის თითქოს
ასპინძის წყარო, კეთილი და მარადი ბავშვი...

ქვითინებს წყარო... სისხლიანი ბოლავს ბალახი...
და აი, – მიაქვს, ო, სად მიაქვს ქარს ჩაბალახი?
რად დაფარფაშებს ასპინძაში პირქუში ძერა...

ცხენი ყომრალი კოხტა-ბელადს რომ მოუმართავს,
ვით გველის წიწილს ათამაშებს ჰაერში მათრახს,
ეძებს ერეკლეს მოლურსული და გაიძვერა.

იცნო, აქ არი... წამს შეჰკივლა კოხტა ბელადმა
და ხელში ხანჯლით წინ ერეკლეს ამოელანდა,
წელზე ერხევა დამბაჩა და სიათის ქარვა.

ეს ღრუბელი ჰქუხს თუ დიდ მეფეს აღმოხდა რისხვა...
ეს ხმალი არი თუ ცის ელვა მან გამოისხა...
და ორთა შორის გაიშხუვლა სიკვდილის ქარმა.

ო, ამ ორთაგან დღეს შინისკენ ვინ გასწევს ლხენით?
შორს იჭვნეულად თავს იქნევენ ბინდ-ბუნდში ხენი...
დასცხეთ, მამაცნო, მტერი მტკვრისკენ გავაბურთაოთ!

უკვე თათარი აღქაფებულ წყალში შერეკეს,
უკვე მიწისკენ დაუხრია ხმალი ერეკლეს,
კოხტა-ბელადი ზის, ქანაობს ცხენზე უთავოდ.

და სად მინდორზე დაგდებული სახე შავწვერა
განცვიფრებული გასცქეროდა ცას ალმაცერად,
ბარდი ეკლისა აპრილს ოდნავ შეუფოთლია.

და ყვავილები თეთრონები ბორცვებს რომ შვენის,
კახთა ბატონის გულფიცხი და მშფოთვარე ცხენის
ნესტოებიდან გაფრთქვენილი თეთრი ორთქლია.

მოდის ერეკლე... გზა დიდებამ გაუნათელოს...
თვალთა ღიმილით გადახედა მან საქართველოს,
შუბლი სპეტაკი განუგრილე, სამშობლოს ქარო!

ის პირჯვარს იწერს, მოუხდია სპარსული ჩალმა,
მეც დავიჩოქე და გავხედე ოცნებით მთვრალმა:
ველზე ნისლია და ჩუხჩუხებს ასპინძის წყარო!

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 21 მარტს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აპრილის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანიის შესახებ;“

2.„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცებ შესახებ;“

3.„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 აპრილის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;“

4.„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აპრილის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;“

5.„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;“

6. „ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 აპრილის N28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;“

7.„ასპინძის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 07 მარტის №გ-121. 121240671 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

დეპუტატებმა საკითხები ხმათა აბსულუტური უმრავლესობით დაამტკიცეს.

სხდომას თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

სხდომას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ანტონ ობოლაშვილის ასპინძის ბიუროს წარმომადგენლობა.

მაკა ბერიძე

მნიშვნელოვანი პროექტი

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში მკითხველს სისტემატურად მოვუთხრობდით იმ პერსპექტივებზე, რასაც, სოფლის პროგრამის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერია ეწევა სოფელ ოშორაში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდინარე ოშორულას გასწვრივ



სოფლის ზედა და ქვედა უბნების დამაკავშირებელი სამოკლეო გზის მშენებლობა, რაც ორივე დასახლების მაცხოვრებლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხიდის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი“ და მისი სახელშეკრულებო ღირებულება სოლიდურ თანხას – 983 000 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ასფალტ-ბეტონის საფარი, გზის საყრდენი კედელი, სამი მილხიდი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ მერიის შესაბამისი სამსახურისა და კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

განსაზღვრულ ვადებში დასრულდება

უკვე რამდენიმე წელია სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელებასთან ერთად, დაბა ასპინძაში ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც ქუჩების ასევე ჩიხებთან ქვაღორღისა და ჩამონაშალი ნიადაგების შეკავების მიზნით საყრდენი კედლების მშენებლობა და მდინარის კალაპოტებში გაბიონების მოწყობა, რაზეც მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს. საგულისხმოა, რომ მიმდინარე სამუშაოები ხარისხიანად სრულდება, რაც განპირობებულია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სისტემატური კონტროლით.

ახლახან მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

პროექტი გარდამავალია და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „არალი,“ რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 239 678 ლარს შეადგენს.

ქალთა დღეს მიეძღვნა

რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, 8 მარტი ყოველთვის ქართველი მამაკაცისათვის მაინც მნიშვნელოვან დღედ დარჩება, რადგან ქალისადმი პატივისცემა იყო, არის და იქნება მარადიული ღირსების საქმე. ქართველ კაცს არასოდეს ჭირდებოდა გარეშე ძალის კარნახი, თუ როგორ უნდა მოქცეოდა სუსტი სქესის ადამიანს. ეს გარედან შემოგდებულმა „რჩევა-დარიგებებმა“, სამწუხაროდ, დადებითი ეფექტი კი არ მოგვცა, არამედ, თითქოს დამაკავშირებელი ხიდიც კი გაიბზარა. ნებსით თუ უნებლიეთ, გარკვეულწილად, არასასიამოვნო პერიპეტიები გააჩინა ქალისადმი მამაკაცის დამოკიდებულებაში, მაგრამ არავითარ ძალას არ

ძალუძს ამ ხიდების ჩატეხვა, რაც ესოდენ პატივსაცემი და დასაფასებელია ქალისადმი მამაკაცის დამოკიდებულებაში. ქალი მაინც დარჩება მამაკაცისადმი სიყვარულის, ბედნიერების მთავარ წყაროდ, ჩაუქრობელ ვარსკვლავმუზად, რომელიც აამაღლებს მამაკაცს სულიერად და ქვეყანას ჯანსაღ შთამომავლობას მისცემს. ქალი სიცოცხლის წყაროა, რომელშიც ქალური კდემამოსილების ჩაკვლა სურთ, მაგრამ ბუნების კანონებს, უზენაესის გარდა, ქვეყანაზე ვერავინ შეცვლის. დედა – დედად დარჩება, ქალი – ქალად; ისევ დაიწერება ლამაზი ლექსები დედაზე, ქალში ქალის სილამაზე იბრწყინებს, ქალისადმი დიდი სიყვარულის გამოისობით მამაკაცი კვლავაც ჩაიდენს საგმირო საქმეებს; ქალი მისცემს ქვეყნიერებას შვილთა სიმრავლეს. ოჯახის საძირკველს ვერავინ მოშლის.

ქალისადმი მამაკაცის დამოკიდებულების ტრადიცია გაგრძელდება უკუნისი უკუნისამდე, მარად და მარად კვლავ აღნიშნავს ჩვენი მომავალი თაობები ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, რომლის მიზანი არა თუ ქალის განსხვავებულ პერსონად ჩამოყალიბება, არამედ მათი ქალური უფლებების დაცვა იქნება ყოველთვის უმნიშვნელოვანესი მოვალეობა, რომ მხოლოდ ქალს ძალუძს ოჯახური სითბოსა და სიყვარულის გაძლიერება, ქვეყნის მოყვარული, მორალურ-ზნეობრივად ჩამოყალიბებული მომავალი თაობების აღზრდა.

ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე საუკუნეზე მეტია აღინიშნება და სწორედ ესაა ქალისადმი უდიდესი პატივისცემის გამოხატულების მთავარი ნიშანი. ეს დღე ჩვენს სინამდვილეშიც, როგორც ყველგან, აქაც ყოველთვის, საზეიმოდ აღინიშნება.

ამ ჭეშმარიტად ლამაზი – ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება - კონცერტი კიდევ ერთხელ ჩატარდა ასპინძის კულტურის ცენტრში, სადაც მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ღონისძიებაზე მოწვეულ თითოეულ მანდილოსანს საჩუქრად ყვავილები გადასცეს. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა დამსწრე საზოგადოებას.

კონცერტში მონაწილეობდნენ ასპინძის სამუსიკო სკოლის და მთავარი ბიბლიოთეკის ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ასევე ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები – „სამცხე“ და „ვარძია“. ღონისძიებას ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

ინტერვიუ

აუცილებელია კვალიფიციური კადრები

ოთარ ცინაძე

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი ***ოთარ ცინაძე.***

ბატონო ოთარ,

ასპინძის მუნიციპალიტეტის მასშტაბით თქვენ დიდი ტრადიციების მქონე ხელოვანი ოჯახის წარმომადგენელი ბრძანდებით. თქვენ მშობლებს – ომარ ცინაძესა და ალა კრამარენკოს, თქვენს ბებიას, ქალბატონ მერციას ძველი თაობის წარმომადგენლები კარგად იცნობდა. მათ მიერ შესრულებული არაერთი სახასიათო როლი დღესაც კარგად ახსოვთ და დაფასებული ადამიანებიც ბრძანდებოდნენ. ხშირად გვქონია საუბარი იმათთან, ვინც მათ სამსახიობო მოღვაწეობას იცნობდნენ, რომ დღევანდელ სატელევიზიო შოუებში მონაწილე ე.წ. „ცნობადი სახეები“ ისე ვერ აღაფრთოვანებენ მაყურებელს, როგორც ამას თქვენი მშობლები, მათი კოლეგები ახერხებდნენ. მაშინ „პურს მეპურეები აცხობდნენ“ და ხალხიც კმაყოფილი იყო. რისი თქმა შეგიძლიათ ამ გადასახედიდან თქვენს მშობლებზე?

– შემიძლია ვთქვა, რომ მათ წარმატებულ სამსახიობო მოღვაწეობას ხელი შეუწყო, იმ დროისათვის ასპინძის მოსახლეობის მხრიდან თეატრისა და თეატრალური ხელოვნების დიდმა სიყვარულმა, ასევე მაშინდელმა ასპინძის სარაიონო კულტურის სახლში მოქმედმა ნიჭიერმა სცენის მოყვარე მსახიობთა დასმა, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მათ უზომოდ უყვარდათ თეატრი.

ბატონო ოთარ, თქვენ ახლობლობა გაკავშირებდათ საქვეყნოდ ცნობილი დიდი ქართველი მსახიობების ბელა მირიანაშვილისა და კახი კავსაძის ოჯახთან, რისი თქმა შეგიძლიათ მათ შესახებ?

– დიახ, გეთანხმებით, მართლაც რომ ახლო ნათესაური კავშირი მაქვს ქართველი მსახიობების ბელა მირიანაშვილისა და კახი კავსაძის ოჯახთან. ქალბატონი ბელა გახლდათ ბებიაჩემის, ქალბატონ მერციას ძმიშვილი. გავიხსენებ იმას, რომ ბავშვობაში ბებიაჩემთან ერთად საზაფხულო არდადეგებს ძირითად თბილისში ვატარებდი. რაც საშუალებას მაძლევდა ახლო ურთიერთობა მქონოდა მათთან. ბებიაჩემიც დიდი ტრადიციების მქონე ხელოვანი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ, – მისი მშობლები იყვნენ საქართველოს სახალხო არტისტები ვასილ ურუშაძე და მარო მდივანი. ამიტომ ამ ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ მაშინდელი ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწეები. ალაბათ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ შემდგომში ჩემი მომავალი თეატრთან დამეკავშირებინა.

ასაკთან შედარებით, მუნიციპალიტეტში თქვენ ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი კულტურის მუშაკი ბრძანდებით. თავდაპირველად რას გრძნობდით ამ კუთხით როდესაც გადაწყვიტეთ თქვენი ძალების შესაძლებლობების გამოყენება.

– როგორც სამსახურის უფროსმა? ალბათ, უპირველესად, დიდ პასუხისმგებლობას, მაგრამ ამ სფეროში წლების მანძილზე დაგროვილი მუშაობის გამოცდილება მაძლევს საშუალებას, სწორად მოვახდინო ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და სამსახურის საკურატორო სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებთან ერთად, შევძლო სფეროების მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარება.

რას იტყვით, ზოგადად, თქვენი სამსახურის თაობაზე, სადაც ამჟამად მოღვაწეობთ?

თქვენი საკურატორო სფერო რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. დაგვიკონკრეტეთ თითოეული მათგანის საქმიანობის ძირითადი პარამეტრები. რა პრობლემებს ხედავთ მათ საქმიანობაში?

– ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური, რომელიც ჩემი ქვემდებარეა, თავის საქმიანობას წარმართავს განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების კუთხით. თითოეულ მათგანში ვუზრუნველვყოფთ შესაბამისი სფეროს განვითარების ხელშეწყობას. ორგანიზებას ვუწევეთ კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. ვახორციელებთ ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენას, აღრიცხვასა და დაცვას, მუნიციპალიტეტში ტურიზმის სტიმულირებას. ასევე ჩემს საკურატორო სფეროს განეკუთნება მუნიციპალიტეტში მოქმედი კულტურისა და სპორტის ა(ა)იპები, კერძოდ: ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრი, რომელიც საქმიანობას წარმართავს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის დარგების განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციის მიმართულებას, ასევე კულტურული ღონისძიებების ჩატარების საშუალებით ანხორციელებს მოსახლეობის, მათ შორის მოზარდი თაობის კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვას; ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა, რომელიც თავის კომპეტენციის ფარგლებში ანხორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის დაცვას, ასპინძის მუნიციპალიტეტში მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურეობას; ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება; ვალერიან მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა, რომლის ძირითადი საქმიანობაა – მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება; ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება, რომლის ძირითად საქმიანობას ასევე წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალურ ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ახდენს გაერთიანების პროფილის შესაბამისად მათ მეთოდურ აღზრდას და დაოსტატებას.

ჩვენი მუშაობის მთავარ პრობლემად კი მაინც კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა მიმაჩნია.

წინა წლებზე რომ არაფერი ვთქვათ, გასული წელი როგორი შედეგებით დაამთავრეთ, რა წარმატებებს მიაღწიეთ და რითი დაგამახსოვრდათ იგი?

– 2023 წელი, წინა წლებთან შედარებით, მუნიციპალიტეტში, კულტურისა და სპორტის სფეროში მოქმედი ა(ა)იპებისათვის, ღონისძიებების თვალსაზრისით, ძალიან დატვირთული იყო. ვუზრუნველვყავით სამუშაო კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ყველა კულტურული და სპორტული ღონისძიების სრულყოფილი ჩატარება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრთან არსებული საბავშვო თეატრი მაყურებლის წინაშე წარსდგა ორი პრემიერით – „საშობაო ზღაპარი“ და „წითელქუდა.“

ასპინძის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „სამცხემ“ ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ნესებარში ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე – „რავდა“, მიიღო მონაწილეობა და მოიპოვა გრან-პრი.

იყო წარმატებები განათლების მიმართულებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 2022-2023 სასწავლო წელს 20 წარმატებული მოსწავლე იყო, მათ შორის – 13 ოქროს, ხოლო 7 ვერცხლის მედალოსანი. აღნიშნულ წარმატებულ კურსდამთავრებულებს მერიამ საჩუქრად ფულადი ჯილდოები გადასცა.

წარმატებები გქონდა სპორტის სფეროშიც, კერძოდ: საქართველოს სასკოლო სპორტულ „ოლიმპიადა-2023-ის“ რეგიონულ თამაშებზე სპორტის სახეობა ფრენბურთში წარმატებით იასპარეზეს სოფლების – ნაქალაქევისა და ოშორის საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა, რომლებიც გამარჯვებულები გახდნენ. ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების სპორტსმენმა, ძიუდოისტმა მარიამ ფოცხვერაშვილმა, საქართველოს ნაკრების წევრის სტატუსით, ნიდერლანდების ქალაქ ჰააგაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის, გუნდურ შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

თქვენი სამსახურის აქტიური ჩართულობის გარეშე მუნიციპალიტეტში წარმოუდგენელია ნებისმიერი ღონისძიების ჩატარება, გამოცდილებაც დიდი გაქვთ. ამჟამად რა საქმიანობას ეწევით ახალგაზრდობის მოზიდვისა და მათი აქტიური ჩართულობისათვის მასობრივ-კულტურულ ღონისძიებებში?

– პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ 2018 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი სამსახურის დაფინასება კულტურულ-ახალგაზრდული ღონისძიებების მიმართულებით, რაც საშუალებას გვაძლევს დავგეგმოთ და სრულყოფილად ორგანიზება გავუწიოთ მასობრივ-კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას, რომელშიც ჩაერთვებიან შემოქმედი ახალგაზრდები. აღნიშნული მიმართულებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბის კუტურის ცენტრის შენობას, ასევე წლეულს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სამუსიკო სკოლისა და ბიბლიოთეკის შენობასაც.

სოფლად საკლუბო მუშაობა ძველებურად, ფაქტიურად აღარ არსებობს, არც უწინდებურად ხალხური შემოქმედების მიმდევრები გვყავს, თუმცა ინდივიდუალურად მაინც გამოჩნდებიან ხოლმე საინტერესო ადამიანები, რომელთა მოზიდვა და ჩართულობა ამ მიმართულებით დიდი სიკეთის მომტანი იქნება და ახალი სახეები გამოჩნდებიან. ამჟამად როგორ წარმართავთ მათთან მუშაობას?

– მინდა გითხრათ, რომ კულტურის ცენტრის გარდა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფლების დამალის, ხერთვისის და თმოგვის სასოფლო კლუბებს. ასევე მიმდინარეობს სოფელ ხიზაბავრის სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია, ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება – კულტურის ცენტრის სპეციალისტები, ასევე დამალის, ხერთვისის, ხიზაბავრის, ჭობარეთისა და ოშორის სასოფლო კლუბებში დასაქმებულები თავიანთ შემოქმედებით მუშაობას შეძლებისდაგვარად ეწევიან. შესაბამისი სპეციალისტების მეშვეობით ხორციელდება კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები სოფლად მცხოვრები შემოქმედი ახალგაზრდები.

დასამალი არაა, რომ უწინ დიდი მასშტაბებით იმართებოდა მოსწავლეთა როგორც რაიონული, ასევე რესპუბლიკური ოლიმპიადები, ყველა სკოლა წარმოაჩენდა თავიანთ ხელოვნებას, რის გამოც მაშინ სრულიად არ განვიცდიდით ინტელექტუალური მოზარდების სიმწირეს, ბავშვი ეჩვეოდა სცენასაც და საზოგადოების წინაშე თავის წარმოჩენასაც. დღეს თითო-ოროლას თუ არ ჩავთვლით, იშვიათია მოსწავლე, რომელიც „შპარგალკის“ გარეშე შეძლებს საზოგადოების წინაშე გამოსვლას. რას ფიქრობთ, დადებითი იყო თუ არა იმდაგვარ მასობრივ ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩართულობა?

– დღეის მდგომარეობით ყველას სახის ფესტივალებმა კომერციული ხასიათი მიიღო.

რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტს მოსწავლეების კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მიზნით, ფუნქციონირებს სახელოვნებო წრეები, ქორეოგრაფიული და თეატრალური მიმართულებით, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, ახდენენ მოსწავლეთა ჩართულობას ფესტივალებსა თუ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ მასობრივ ღონისძიებებში.

როგორია თქვენი სუბიექტური აზრი კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მიზნით?

– ჩემი აზრით, კვლავ მინდა გავიმეორო – აღნიშნული სფეროების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია კვალიფიცირებული კადრები და სრულად რებილიტირებული შესაბამის ინფრასტრუქტურა.

გმადლობთ ბატონო ოთარ საინტერესო საუბრისათვის.

ინტერვიუს უძღვებოდა
ავთანდილ გერიძე

შეხვედრა უხუცეს ქალბატონებთან

როგორც ყველგან, ასევე ასპინძაშიც, სათანადო პატივი მიეგო ქალებს 8 მარტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ეს დღე მიულოცეს და ყვავილები გადასცეს დაბა ასპინძაში მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი უფასო სასადილოს ბენეფიციარ ქალებს, საავადმყოფოს და სასწრაფო დახმარების პერსონალს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს ქალბატონებს სოფელ ჭობარეთში –თამარ ჯვარიძესა და სოფელ დამალაში – სათენიკ ასტატურიანს ოჯახებში ესტუმრნენ, ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს და საჩუქრად ტკბილეული და ყვავილები გადასცეს.

აქ ერეკლეს ბასრმა ხმალმა

ამაღლების მადლი გფარავს,
გზას გილოცავს ხვილიშა,
აქ ერეკლეს ბასრმა ხმალმა
მძლავრად გაიფინიშა.

შვება იგრძნო, გალამაზდა,
დამშვენდა და გაბრწყინდა,
მრავალჭირნახული კუთხე, –
მისი გული – ასპინძა.

საამაყო ჩვენი მხარე
„შოთაობს“ და „ასპინძობს,“
და მესხური სიმღერებით
სტუმრებს თბილად
მასპინძლობს.

დაილოცოს ის მარჯვენა
ვინც რომ კვეთა ვარძია
და აკვანი რუსთაველის
სიყვარულით არწია.

ხერთვისი და თმოგვის ციხე –
გვესალმება კლდეზე მდგარი,
რამდენ გმირულ ამბავს მალავს, –
ამის მოწმე არის მტკვარი.

მივეგებოთ, თაყვანი ვცეთ,
სხვა რაღა დაგვრჩენია,
აქ ხომ შოთას უმღერია,
ეს ხომ შოთას გენია.

ავტორ - მთქმელი
ზაურ ოთანაძე

კოხტას ციხიდან მოსჩანს ასპინძა

გადაგვარჩინა ხალხის გმირობამ,
შემართებამ და პირდაპირობამ,
სიუხვემ?.. არა, პურაძვირობამ? –
ერთად სიკვდილის მტკიცე
პირობამ.

კოხტას ციხიდან მოსჩანს
ასპინძა,
მტკვარი უკოცნის საძირკველს
ხერთვისს,
აწყურს აბჯარი ისევ აცვია,
და შიში არ აქვს კაცის თუ მხეცის.

მცხეთა ელვარებს მუდამ ლამაზი,
და მესხეთიდან მაცნეს მოელის,
პიტიახშების ხარობს არმაზი,
და არსაკიძის სვეტიცხოველი.

ხარობს ყოველი, მღერის ყოველი,
ერი გამტანი ძმობის ლელოსი,
მშვიდობისა და ძმობის
მთესველი,
დღეს დღეობაა საქართველოსი.

როსტომ ყენია

სანაპიროს ქუჩის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება

დაბაში ბევრი ისეთი ქუჩა და მოედანია, რომელსაც ტურისტული თვალსაზრისით დიდი დატვირთვა აქვს, ასევე თავისი მდებარეობით, შეიძლება ითქვას, სხვა ქუჩებთან შედარებით პრიორიტეტულებიც არიან და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ, რამეთუ ამ ქუჩის გავლით სარგებლობენ სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობაც და მათი მოუვლელობა თვალში საცემს ხდის დაბის იერსახეს, მით უფრო, უცხოთა თვალში. ერთ-ერთ ასეთ პრიორიტეტულ ქუჩად უნდა ჩაითვალოს სანაპიროს ქუჩა, რამეთუ ამ ქუჩის გავლით უხდება ყოველდღიური დაკავშირება ძველის, ჭობარეთის, ორგორა-საყუდაბლის, ივერიის, კურორტ „ასპინძით“ მოსარგებლე ადამიანებს, რაგბის შეჯიბრებებში მონაწილეებს და სხვ. სწორედ ასეთი დატვირთვა აქვს სანაპიროს ქუჩას, რომლის სრული რეაბილიტაციისათვის დროული გადაწყვეტილება მიიღო მუნიციპალიტეტის მერიამ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სანაპიროს ქუჩაზე დეკორატიული ღობეების, ტროტუარების, გარე განათებისა და, გარკვეულ მონაკვეთებზე – საყრდენი კედლების რეაბილიტაცია. სამუშაოები რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია „არალი" აწარმოებს. სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

სპორტი

„დინამოს“ საფეხბურთო წარმომადგენლობა ასპინძაში

ასპინძის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების ფეხბურთის მოზარდ სპორტსმენებს საფეხბურთო კლუბს თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები შეხვდნენ.

„დინამო“ თბილისის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ლევან გვანცელაძემ, კლუბის სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრის მონაწილეებს, მიმდინარე წელს განსახორციელებელი აქტივობები გააცნო და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

შეხვედრას, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და მერის მოადგილე ლევან ბერიძე დაესწრნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა ახალგაზრდებში სპორტული განათლების, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით სამომავლოდ ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

საჩუქრად სპორტული ფორმები

ბოლო რამდენიმე წელია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია მაქსიმალურად ზრუნავს საჯარო სკოლების ყველა ასაკის მოზარდების სპორტულ ღონისძიებებში აქტიური ჩართვის მიზნით ფინანსურ-მატერიალური მხარდაჭერის გაუმჯობესებისათვის. ამ დღეებში კი კიდევ ერთი კარგი საჩუქრი მოუმზადეს და „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2024“- ის მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებულ საჯარო სკოლების გუნდებს საჩუქრად სპორტული ფორმები გადასცა.

სოფლების – მირაშხნისა და ნაქალაქევის გუნდებს ახალი ფორმები ასპინძის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ტრისტან მურადაშვილმა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გადასცეს.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდები უახლოეს მომავალში „სპორტული ოლიმპიადა – 2024”- ის რეგიონულ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას.

პაატა ქავთარაძე

ახალი წიგნები

ახლახან ა (ა) იპ ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ მიიღო შემდეგი დასახელების ახალი წიგნები:

- არასოდეს გამიშვა;
- ჯეინ ოსტინი - მენსფილდ-ოარკი;
- ურუელი - ცხოველების ფერმა რ/გ;
- რუპი კაური - რძე და თაფლი;
- ფრედერიკ ბეგბედერი - რომანტიკული ეგოისტი;
- ქარიშხლიანი უღელტეხილი;
- ჰერბერტ უელსი - ბედის ბორბალი. ტ. 2;
- სტენდალი - წითელი და შავი;
- ნიკო ლორთქიფანიძე - ტ. 9;
- ჯანმრთელობა ყველასათვის;
- მამაჩემი ვაჟა - ფშაველა;
- აინ რენდი - პირველწყარო;
- ალან პიზი - სხეულის ენა;
- დ. პატარაია - საერთაშორისო ურთიერთობები, დისციპლინა და თეორია;
- მილორა პავიჩი - ვარსკვლავთა მოსასხამი;
- ვასაძე - „ვეფხისტყაოსანი“ - კომენტირებული ტექსტი;
- ზურაბ მხეიძე - სიყვარული, ტყუილი, ემოციები და თვითშეფასება ურთიერთობაში;
- თორნიკე გურული - საფუძვლები;
- მარინა კაჭარავა - ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოლოგია;
- მარინა კაჭარავა - მიჯაჭვულობის ფსიქოლოგია;
- ნინო ბუაძე - აღზრდის ფსიქოლოგია;
- ოთარ ჭილაძე - გოდორი;
- ახალი შარმა - ოჯახური ცხოვრება;
- სლავოი ჟიჟეკი - პანდემია;
- პლატონი - გორგია;
- ჟაპრიზო - მკვლელი ზაფხული;
- სალმან რუშდი - ჯამბაზი სალიმარი;
- სებასტიან ჟაპრიზო - სათვალიანი ქალი თოფით მანქანაში;
- ჯეინ ოსტინი - სიამაყე და მცდარი აზრი;
- მინდაძე - ფსიქოლინგვისტიკა;
- კულინი - ფურეია აიშე;
- საფონი - ქარის ჩრდილი;
- ემილი ბრონტე - ქარიშხლიანი უღელტეხილი;
- ქეთევან ოსიაშვილი - აღზრდა აკრძალვების გარეშე;
- გრიგოლ აბაშიძე - ყორნალი;
- გრიგოლ აბაშიძე - ცოტნე;
- ჰარპერ ლი - ნუ მომკლავ;
- ნინო თარხნიშვილი - სიცოცხლის დაზღვევა;
- რატი მუჯირი - მონებს სამოთხეში არ უშვებენ;
- კნუტ ჰამსუნი - შიმშილი;
- მარინე თექთუმანიძე - თქვი, დედაკაცო;
- დათო ტურაშვილი - ხალდე - ლაჰილ;
- გია მურღულია - ცხრის ნახევარზე;
- მარკესი - გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა;
- ეთერ თედიაშვილი - და დედამიწა წამით შეჩერდი;
- პიტერ ჰანდკე - მორავული ღამე;
- იაცეკ დენელი - ლალა;
- ლეილა ბეროშვილი - ცაზე მთვარე მიცურავდა;
- ეკა ქევანიშვილი - ღარიბების ტრანსპორტი არსად გაჩერდება;
- მიშა ანდღულაძე - ნადგომი წყალი;
- ნინო სამყურაშვილი - ჯავშანი;
- ბექა ქურხული - თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები ანუ დუშთი-ყაფჩაღი;
- ერნესტო საბატო - გვირაბი;
- ბასა ჯანიკაშვილი სულები და თანამოაზრენი;
- ზვიად რატიანი - კოცონი მდინარესთან;
- გიორგი კეკელიძე - სახელად ვარსკვლავი ხვიჩა;
- რატი ამაღლობელი - ანგელარიუმი;
- ნაჯიბ მაჰფუზი -როდოპისი;
- მაკა ჯოხაძე - ფიჭვები უდაბნოში;
- ოლდოს ჰაქსი - აღქმის კარები - სამოთხე და ჯოჯოხეთი;
- ჩიმამანდა ნგოზი ადიჩი - ყვითელი ნახევარმზე;
- ივა მინდაძე - ტყუილის ანატომია.

ა (ა) იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილება

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია